სსიპ შოთა რუსთაველი ს
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

28 ნოემბერი 2025 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 209

„მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის "ლეონარდო და ვინჩი" გამოცხადების და კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 14 თებერვლის N 11 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N 1683022, 26/11/2025) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის "ლეონარდო და ვინჩი" გამოცხადების და კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 14 თებერვლის N 11 ბრძანებაში და ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-4 მუხლის: მე-8 პუნქტის:
   ა) 1-ელ პუნქტის "თ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „თ) საკონკურსო კომისია საკონკურსო გამოფენაზე გამოავლენს გამარჯვებულებს 2025 წლის დეკემბრის თვეში."
   ბ) მე-8 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „ნ) საკონკურსო გამოფენა - კონკურსის ფინალი - ფინალზე წარდგენილი განაცხადების შეფასება საკონკურსო კომისიის მიერ, გამარჯვებული საკონკურსო განაცხადების გამოვლენა და დაჯილდოება - დეკემბერი."
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) მეცნიერებების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებ გვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებ გვერდზე განთავსებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი N 64)

თეიმურაზ დოჭვირი